თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №11

თბილისი, 20 ოქტომბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 20 ოქტომბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 15:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ვაშალომიძე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ციცაგი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლონდა ბიჭიკაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:
საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – თეკლე ზედელაშვილი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ – ბექა შეწირული;
- „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „საზოგადოებრივი დამცველი“ – ირინა ფუტკარაძე;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;

- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – მაია ხარაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 15:10 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.
2. კომისიის მიერ წინა სხდომებზე განხილულ საკითხებზე უწყებების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა.
3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 11-18 ოქტომბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
4. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ ბატონმა თორნიკემ წინა სხდომებზე განხილულ საკითხებზე უწყებების მხრიდან განახლებული ინფორმაციის მოსმენის მიზნით სიტყვა გადასცა ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე). საკითხი შეეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პარტიის „საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატ გია ცეცხლაძის განცხადებას მმართველი პარტიის მერობის კანდიდატ ავთანდილ თალაკვაძისა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძის მიერ პარტიის „საქართველოსთვის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნონა ტუნაძის შესაძლო დაშინებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, 2021 წლის 22 სექტემბერს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი გაესაუბრა ქალბატონ ნონა ტუნაძეს, რომლის განმარტებითაც, იგი აპირებდა დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად არჩევნებში მონაწილეობას როგორც პარტიის „საქართველოსთვის“ წევრი. მეუღლის გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მან ფიზიკურად ვეღარ მოახერხა საარჩევნო პროცესში მონაწილეობა, რის გამოც საკუთარი სურვილით განაცხადა კანდიდატურის მოხსნის შესახებ. ქალბატონი ნონა კატეგორიულად უარყოფს მის მიმართ მუქარას, იძულებას ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. გარდა ამისა, რამდენადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში პარტიის „საქართველოსთვის“ წევრებზე შესაძლო იძულების და სამსახურიდან იძულებით გათავისუფლების ფაქტებთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება, ქალბატონი ნონა ზემოაღნიშნული გამოძიების ფარგლებშიც იქნა გამოძახებული, რათა მას უკვე მოწმის სახით წარმოედგინა შესაბამისი ჩვენება და სისხლის სამართლის საქმეზე მომხდარიყო დადგენილი წესით

საქმის დამაგრება, თუმცა, მისივე განმარტებით, იგი შეუძლოდაა, ფიზიკურად ვერ ახერხებს თბილისში ჩამოსვლას, რის გამოც სამინისტრომ დაგეგმა მისი ადგილზე გამოკითხვა. რაიმე ტიპის სხვა მოქმედების საჭიროება ამ ეტაპისთვის არ გამოკვეთილა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებულ შემდეგ შემთხვევაზე, კერძოდ კი, მალაზონიას ქუჩაზე საქანელების მიტანასა და ამ მხრივ მმართველი პარტიის მხრიდან შესაძლო მოსყიდვაზე, ისაუბრა ქალბატონმა ლონდა ბიჭიკაშვილმა (გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი). როგორც მან განაცხადა, მოსყიდვის ფაქტის დადასტურების ან გამორიცხვის შესახებ რაიმე კონკრეტული სიახლის შესახებ ინფორმაციას ვერ მიაწვდიდა კომისიას, რადგან ამ ეტაპზე საკითხის შესწავლა კვლავ მიმდინარეობს და შედეგების შესახებ მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცესკოს-ს წარმომადგენელი) კომენტარი გააკეთა მომდევნო ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდებოდა პარტია „ევროპული საქართველოს" წევრ ბესიკ დონაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას ისანში მმართველი პარტიის კანდიდატ და მოქმედ გამგებელ კახა ლაბუჩიძის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ. როგორც ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კანონმდებლობის შესაბამისად მოიკვლია ზემოხსენებული საკითხი და, რამდენადაც დარღვევა არ დადასტურდა, მისი ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლოს დადგენილებით არ დაკმაყოფილდა საჩივარი და ძალაში დარჩა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვისას (ბიზნესსუბიექტებისთვის 6 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების იჯარის გადასახადებისა და ჯარიმების ჩამოწერასთან დაკავშირებით მთავრობის ახალ ინიციატივას ოპოზიციაში წინასაარჩევნო მოსყიდვად აფასებენ) ქალბატონმა ლონდა ბიჭიკაშვილმა (გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი) აღნიშნა, რომ ფაქტზე გამოძიება არ არის დაწყებული; პროკურატურისთვის მიწოდებული ინფორმაცია განხილვის ეტაპზეა და დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის მიზნით მისი შესწავლის შემდგომ ინფორმაციას მიეცემა სამართლებრივი შეფასება.

მედიამონიტორინგის მომდევნო ინფორმაციაზე („სოციალური სამართლიანობის ცენტრის" მიერ გაკეთებული განცხადება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (დმანისი, მარნეული) საარჩევნო უბნებთან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლების გაძლიერებული მობილიზების თაობაზე; საარჩევნო უბანში მიმდინარე პროცესების უმთავრესად არა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, არამედ არაადგილობრივი დამკვირვებლის ან კომისიის წევრის მიერ მართვა; კომისიის წევრთა მიერ პირდაპირი მინიშნება ამომრჩეველთათვის კონკრეტული პარტიის მხარდაჭერაზე) ბატონმა ბექა ზეგარდელმა (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი) აღნიშნა, რომ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტები არ ეფუძნება არანაირ მტკიცებულებებს და სიმართლეს არ შეესაბამება.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ დადასტურებულ ფაქტებზე საუბარი გაუჭირდება, თუმცა, ნამდვილად იყო გარკვეული საჩივრები ზემოხსენებულ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც

არ დადასტურდა. მისი თქმით, დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ დავაც წარიმართა, მათ შორის, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ როგორც პირველ ინსტანციაში, ისე სააპელაციო სასამართლოში არ დაკმაყოფილა შესაბამისი სარჩელები და სააპელაციო საჩივრები.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ პოლიციელთა მობილიზებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ნორმა, რომლითაც იკრძალება საარჩევნო უბნებიდან 100 მეტრის რადიუსზე ხალხის შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა, ვერ აღსრულდებოდა საარჩევნო უბნებთან პოლიციელთა მობილიზების გარეშე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მომდევნო ინფორმაციასთან დაკავშირებით („ევროპული საქართველოს" სატირული პოსტერები, რომლებიც პუშკინის სკვერის მიმდებარედ პარტიის წევრებმა და მხარდამჭერებმა გააკრეს, რამდენიმე საათში მათ ჩამოხეული დახვდათ) აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ მოახდენდა რეაგირებას, რადგან 150 ლარზე მეტის ღირებულების ქონება არ დაზიანებულა. მისი თქმით, სახეზე იყო მხოლოდ პლაკატების დაზიანება, რაც არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და მიეკუთვნება ადმინისტრაციულ გადაცდომას, რაზე რეაგირებაც სხვადასხვა შემთხვევაში ევალება მუნიციპალიტეტს.

პუშკინის სკვერში პლაკატების ჩამოხევასთან დაკავშირებით ბატონმა მამუკა ჯაყელმა (თბილისის მერიის წარმომადგენელი) აღნიშნა, რომ მსგავს ფაქტებზე მერია რეაგირებს მხოლოდ დამრღვევი პირების იდენტიფიცირების ან უშუალოდ ფაქტზე წასწრების შემთხვევაში. რამდენადაც ასეთი ფაქტი არ გამოვლენილა და არც დამრღვევი პირების რაიმე მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია შესულა თბილისის მერიაში, რეაგირება ვერ განხორციელდებოდა.

ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა (ფინანსთა მინისტრის მოადგილე) მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (საპარლამენტო ფრაქციის „ლელო საქართველოსთვის" წარმომადგენელი საბა ბუაძე ფინანსთა სამინისტროს შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურების ბიუჯეტის პერმანენტულ ზრდას სავარაუდოდ უკავშირებს საარჩევნო პოლიტიკურ მიზნებს) განაცხადა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი წლის დასაწყისში. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულია 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება პარლამენტს. ამასთან, ბიუჯეტის კანონის პროექტში ზრდის პარამეტრები არ არის მითითებული. ბატონი ცოტნეს თქმით, ბიუჯეტი შესაძლოა ყოველ წელს გაიზარდოს და ამას არჩევნებთან კავშირი არ აქვს, მით უფრო 2022 წელს არჩევნები არ ტარდება, შესაბამისად ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტები უსაფუძვლოა და სიმართლეს არ შეესაბამება.

ბატონმა მამუკა ჯაყელმა მედიაში გავრცელებულ მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (ტელეკომპანია „ფორმულას" ინფორმაციით, თბილისის მერმა წინასაარჩევნოდ 1 600 000 ლარის პრემია გასცა. ოფიციალური განმარტებით, ეს ზეგანაკვეთური შრომის შედეგია. ამ ლოგიკით გამოდის, რომ მერიამ და საკრებულომ ყველაზე მეტი აგვისტოში იმუშავა. ამასთანავე, თანხები გაიცა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოშიც) განაცხადა, რომ მათ უწყებაში კვარტალში ერთხელ გაიცემა დანამატები, რომელთა რაოდენობა შეადგენს წლიური შრომის ანაზღაურების 20 პროცენტს. ბატონი მამუკას განმარტებით, ზემოხსენებული დანამატი გაიცა ზეგანაკვეთური და არასამუშაო საათებში შესრულებული სამუშაოსთვის.

ამავე საკითხზე გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არ იკვეთება დანაშაულის, მით უფრო, ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ თანხის გაცემის საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განმარტა, რომ საარჩევნო პერიოდისთვის უწყება ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან მჭიდრო კოორდინაციით ჩართული იყო მონაცემთა ბაზების, კერძოდ, ამომრჩეველთა ერთიანი სიის, დახვეწის კუთხით. ამ პროცეში ჩართულ სააგენტოს თანამშრომლებს იმ პერიოდისთვის უწევდათ ზეგანაკვეთურად და არასამუშაო საათებში მუშაობა. ამავე პერიოდში იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადდა აქცია პირადობის მოწმობების შეღავათიან ფასებში აღებასთან დაკავშირებით, რამაც გაზარდა მოქალაქეების მიმართვიანობა. ამასთან, თანამშრომლებს კანონმდებლობის გათვალისწინებით აუნაზღაურდათ ზეგანაკვეთური შრომა.

მომდევნო ინფორმაციასთან დაკავშირებით („ევროპული საქართველოს“ რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ ქებაძე ამბობს, რომ 14 ოქტომბერს მოემართებოდნენ თბილისისკენ აქციაზე და რუსთავის გამოსასვლელთან 50-70-მდე პირმა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, მანქანას დაუშინეს კვერცხები და ცოცხები. მისი თქმით, თავდამსხმელებს შორის ამოიცნეს მმართველი გუნდის აქტივისტები – პარტიის მხარდამჭერები და რუსთავის მერიაში დასაქმებული პირები) ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ გამოძიება დაწყებულია სსკ 126-ე მუხლით ვ.ქ-ს მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით. მიმდინარეობს გამოძიება, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. ამ ეტაპზე ბრალდებული პირი არ არის ცნობილი.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი) რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ მითითებულ ინციდენტში რუსთავის მერიის თანამშრომლები არ მონაწილეობდნენ, არც ვიდეოსიუჟეტში ჩანს მერიის თანამშრომელი. ამასთან, მუნიციპალიტეტის განმარტებით, ვინაიდან 14 ოქტომბერი იყო უქმე დღე, რუსთავის მერია არ არის ვალდებული, თავისი თანამშრომლების გადაადგილებისა და ადგილმდებარეობის შესახებ ფლობდეს ინფორმაციას.

ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, როგორც კომისიის არაერთ სხდომაზე გაამახვილა ყურადღება, კვლავაც აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოიცა რეკომენდაცია სწორედ წინასაარჩევნო კამპანიისას ძალადობრივი ხასიათის დაპირისპირებებისა და ინციდენტების პრევენციის მიზნით. ამასთან, რეკომენდაცია პოლიტიკურ პარტიებს მიმართავს, მოუწოდონ მხარდამჭერებს (მათ შორის, საჯარო მოსამსახურეებს), მაქსიმალურად შეიკავონ თავი პოლიტიკური ოპონენტების მიერ გამართულ აქციაზე გამოცხადების, სიტყვით გამოსვლის, აგიტაციისა თუ კონტრაგატაციისგან. მისივე თქმით, ეს რეკომენდაცია კვლავაც ძალაშია და ინარჩუნებს აქტუალობას.

მედიამონიტორინგით გამოვლენილ არჩევნების მეორე ტურისთვის მზადებასთან დაკავშირებით (ნიკა მელია ამბობს, რომ მმართველმა პარტიამ კოორდინატორებს 20 პირადობის მოწმობის მიტანა დაავალა, რაც პრაქტიკულად ნიშნავს ე.წ. კარუსელებისთვის მზადებას) ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ბუნდოვანი და კონკრეტიკას მოკლებულია; დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება და, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო ინფორმაციასთან დაკავშირებით (ოპოზიციის თქმით, არჩევნებისთვის მზადება საარჩევნო კომისიებში კანონდარღვევით მიმდინარეობს. თელავის საარჩევნო კომისიაში შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების მიუხედავად, კომისიამ საარჩევნო უბნები მაინც არ გახსნა. ამ კანონდარღვევას ცესკო არ აღიარებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრ გიორგი შანხელაშვილის განმარტებით, თელავში გადასატანი ყუთების მოთხოვნებთან დაკავშირებულ ზარებზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები ეუბნებიან, რომ ვერ დაარეგისტრირებენ, რაც, მისი თქმით, კანონდარღვევაა) ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიებმა შეაჯამეს არჩევნების შედეგები, ხოლო 17 ოქტომბერს ცესკო-მ დანიშნა არჩევნების მეორე ტური. მისი თქმით, 17 ოქტომბერს თელავში მე-17 საარჩევნო ოლქის ყველა საარჩევნო უბანი იყო გახსნილი (გარდა ტერიტორიულად დაშორებული ხუთი უბნისა, სადაც ვერ მოესწრო ამომრჩევლეთა სიის მიწოდება), საარჩევნო უბნებზე განთავსებული იყო ე.წ. კედლის სიებიც, თუმცა, 18 ოქტომბერს, დილის 10:00 საათისთვის, მე-17 საოლქო საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე არსებული 54-ვე საარჩევნო უბანი იყო გახსნილი და სრულყოფილად ფუნქციონირებდა. ბატონი გიორგი სანტურიანის თქმით, ზემოხსენებულ უბნებზე ნებისმიერს შეუძლია მისვლა და კედლის სიების მონაცემთა გადამოწმება, და იმ პირებს, ვისაც კანონმდებლობის საფუძველზე გადასატანი საარჩევნო ყუთებით სარგებლობის უფლება აქვთ, შეუძლიათ განცხადებით მიმართონ შესაბამის საარჩევნო კომისიებს.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხზე (საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრი ლილე ლიპარტელიანის განცხადებით, კახა კალაძემ საკრებულოს მიმართა არჩევნების მეორე ტურამდე ორი კვირით ადრე და მოითხოვა სარეზერვო ფონდის გაზრდა 1 848 500 ლარით, რაც, სავარაუდოდ, ამომრჩევლის მოსყიდვას ისახავს მიზნად) თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა ისაუბრა. ბატონი მამუკა ჯაყელის განმარტებით, 2021 წლის 19 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მთავრობის დადგენილების საფუძველზე მიმართა საკრებულოს სარეზერვო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით (მიმართვაში განმარტებული იყო სარეზერვო ფონდის გაზრდის მიზანი თბილისში ავარიული სახლების კონსერვაციასა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით). ამასთან, თბილისობის დღესასწაულისთვის გამოყოფილი 500 000 ლარი მოხმარდება ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულებს, ხოლო 1 348 000 ლარი თბილისის მერიამ გამოიყენა ზემოხსენებული სამუშაოების შესრულებისთვის.

ამავე საკითხზე გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხსენებულ ინფორმაციაში არ იკვეთება ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები და, შესაბამისად, პროკურატურა ვერ მოახდენს ზემოაღნიშნულ საკითხზე რეაგირებას.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისათვის.

სხდომა დასრულდა 16:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: